„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“

კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2019 წელი • №8 • 16-30 (9456) აპრილი • 50 თეთრი

28 აპრილი – აღდგომა

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!



აღდგა, ვინც სისხლი დაჰთხია
ახალი რჯულის დვრიტასო!"
ცა და ქვეყანაც პასუხად
იძახის: „ჭეშმარიტადო!"

(აკაკი)

მუნიციპალიტეტის მერიაში

„აჩუქე წიგნი“

წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღეს, რომელიც საქართველოში მეთექვსმეტედ აღინიშნება, ჩვენი მუნიციპალიტეტიც შეუერთდა. ,,აჩუქე წიგნი” - ასე ჰქვია კამპანიას, რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის გიორგი კეკელიძის და ,,ანაგრამის” ინიციატივაა და 23 აპრილის წიგნის ჩუქების დღედ გამოცხადებას გულისხმობს. ამ დღესთან დაკავშირებით, სენაკის საჯარო ბიბლიოთეკაში გამართულ ღონისძიებაზე აღინიშნა, რომ ტექნიკური პროგრესისა და ინტერნეტიზაციის ეპოქაში, ეს დღე უმნიშვნელოვანესი ხაზგასმაა პრობლემისა, რომელიც თითოეული ჩვენგანის წინაშე დგას - დავაბრუნოთ მკითხველი წიგნთან. სწორედ განათლებული და წიგნიერი თაობაა ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლის ერთადერთი გარანტი. კამპანიას - აჩუქე წიგნი! ახალი საყოველთაო გამოწვევა საყვარელი ადამიანების გასახარებლად! - სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და ახალგაზრდებთან ერთად შეუერთდნენ. მათ, სიმბოლურად, ქუჩაში გამვლელ თანაქალაქელებს წიგნები აჩუქეს. ამ სასიამოვნო ჟესტით აქციამ, რომელიც მიზნად წიგნისა და წიგნიერების პოპულარიზაციას ისახავს, საინტერესო და სახალისო სახე მიიღო.

„ეგრისი“ ტიტულოვან თბილისის „დინამოს“ დაუპირისპირდა

მარტვილის ცენტრალურ სტადიონზე, დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გათამაშების 1/16 ფინალური შეხვედრა გაიმართა. სენაკის ,,ეგრისი” ტიტულოვან თბილისის ,,დინამოს” დაუპირისპირდა. მატჩს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კახაბერ რუსია, მარტვილისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტების მერები - ალექსანდრე გრიგოლავა და ბესიკ ფარცვანია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე ალექსანდრე ჩიკვაიძე, ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები და გულშემატკივრები ესწრებოდნენ. საინტერესო შეხვედრა ანგარიშით - 4:1 თბილისის ,,დინამოს” გამარჯვებით დასრულდა.

დედამიწის საერთაშორისო დღე

დედამიწის საერთაშორისო დღე, სენაკის მუნიციპალიტეტმა გარემოსდაცვითი ღონისძიებებით აღნიშნა. ამ დღესთან დაკავშირებით, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ეკო-კლუბ ,,მწვანე ერთობის” წევრების ნახატების გამოფენა და ფილმის ჩვენება მოეწყო. ღონისძიების მონაწილეებს დაურიგდათ ფლაერები: ,,დედამიწა საფრთხეშია - გავუფრთხილდეთ მას!” გარემოსდაცვით ღონისძიებას სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორი ლევან უჩანეიშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები შეუერთდნენ. დედამიწის დღის აღნიშვნა სათავეს 1970 წლიდან იღებს. საქართველოში დედამიწის დღე პირველად, 1990 წელს, საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ინიციატივით აღინიშნა. ამ დღეს, ყოველ წელს, მსოფლიოს ორასამდე ქვეყნის სხვადასხვა ორგანიზაცია და მილიონობით მოხალისე უერთდება.

,,ანი"-დან ,,ჰოე"-მდე...

,,ენა საღვთო რამ არისო” - ბრძანებს დიდი ილია. ,,მისი წახდენა ერის დაცემააო” - გვმოძღვრავს პოეტი. ენას ძეგლი აუგო ქართველმა... დღე სასწაულიც დაუნიშნა - 14 აპრილი... - ასე დაიწყო დედა ენის დღისადმი მიძღვნილი პერფორმანსი, რომელშიც მონაწილეობა ახალგაზრდულ თეატრ ,,ფიროსმანის” ნორჩმა მსახიობებმა მიიღეს. ღონისძიებას, რომლის ორგანიზატორი მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი იყო, მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორი ლევან უჩანეიშვილი და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ,,ჩვენ, მომავალმა თაობამ, არა მხოლოდ პატივი უნდა მივაგოთ მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და უნიკალური დამწერლობის მქონე ქართულ ენას, არამედ უნდა გავუფრთხილდეთ და დავიცვათ, სათანადოდ დავაფასოთ და გვიყვარდეს იგი.” ,,დაიცავი დედა ენა! არა - ბარბარიზმს!”- ამ გზავნილებით დასრულდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სკვერში გამართული ღონისძიება, რამაც ქართული ენის უნიკალურობასა და სიდიადეს კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი.

„მზერა“ სენაკში

შპს ,,სენამედში” მოსახლეობის უფასო სამედიცინო პროფილაქტიკური გამოკვლევები გრძელდება. თვალის დაავადებების ქირურგიული მკურნალობის საჭიროების მქონე 65 პაციენტს ჩიჩუების სამედიცინო ცენტრ ,,მზერას” დამფუძნებელმა და დირექტორმა, მედიცინის დოქტორმა, ცნობილმა ექიმ-ოფთალმოლოგმა ალექსანდრე ჩიჩუამ ოფთალმოლოგიური გამოკვლევები ჩაუტარა. სამედიცინო გამოკვლევების მიმდინარეობას, რომელიც პერმანენტულ ხასიათს ატარებს და შპს ,,სენამედის” (კლინიკის დამფუძნელებელი გიორგი თოლორდავა) ინიციატივითა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ხორციელდება, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი გაეცნენ. აქციის ფარგლებში, განხორციელდა თვალის სრული პირველადი გამოკვლევა, დაავადებების სკრინინგი და რეფრაქციის დადგენა. კონსულტაციების შემდეგ, საჭიროების შესაბამისად, პაციენტებს ლაბორატორიული და ულტრასონოსკოპიური გამოკვლევები და ოფთალმოლოგიური ოპერაცია ჩაუტარდათ.

33 წელი ჩერნობილის ტრაგედიიდან

რადიაციული ავარიებისა და კატასტროფების მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, დღეს, მერიის სხდომათა დარბაზში, სენაკის მუნციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ლიკვიდაციაში მონაწილე სენაკელებს შეხვდნენ. 26 აპრილს ჩერნობილის ტრაგედიდან 33 წელი შესრულდება. 1986 წლის 26 აპრილი - ტრაგედია, რომელმაც მსოფლიო შეძრა და უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ეს იყო უდიდესი აფეთქება ატომური ენერგეტიკის ისტორიაში, როგორც დაღუპულთა და მისგან დაშავებულ ადამიანთა რაოდენობით, ისე ეკოლოგიური დაბინძურებითა და ეკონომიკური ზიანით. შეხვედრას, სადაც საუკუნის უმსხვილესი ტექნოგენური კატასტროფა გაიხსენეს და მის ტრაგიკულ შედეგებზე ისაუბრეს, მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სოციალური ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ლიკვიდაციაში მონაწილე 13 ბენეფიციარზე ფულადი დახმარება გაიცემა.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის პრეზენტაცია

სენაკის მუნიციპალიტეტი, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) პროექტის „აქტიურ ლიდერთა თაობის" ფარგლებში, ვარშავის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის წარმომადენლებს, უკრაინისა და მოლდოვის დელეგაციას მასპინძლობს, რომლის შემადგენლობაში არიან ვარშავის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის რეზიდენტული პროგრამის დირექტორი ჯეისონ უორლეჯი, ასოცირების პროგრამის ოფიცერი საბინა ნარლოქი, უკრაინის ქალაქ ჰლუხივცის მერი ალექსანდრ ამონსი, მოლდოვის ქალაქ გრებიესტის მერი ალიონა ჩირქუ, ქალაქ კრუზესტის მერი ვიოლეტა კრუდუ, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ სესიაშვილი. სტუმრებს სენაკის მუნიციპალიტის მერი ლევან კუპრეიშვილი მერის პირველ მოადგილე გრიგოლ ბაღათურიასთან და მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილთან ერთად შეხვდა. პროექტის „აქტიურ ლიდერთა თაობა" ფარგლებში, ვარშავის, უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს დელეგაცია მერიის მუშაობის პროცესში საჯარო ჩართულობის მიმდინარეობას ეცნობა. ვიზიტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის პრეზენტაცია გაიმართა, რომლის მსვლელობას მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი ხათუნა ჭანტურია უძღვებოდა. მან 2010 წლის 1 დეკემბრიდან დანერგილ ნოვაციებზე ისაუბრა, რომელთა შედეგად, სენაკის მუნიციპალიტეტი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ჩაერთო. ხათუნა ჭანტურიამ პრეზენტაციის მონაწილეებს სახელმწიფო შესყიდვის საშუალებები, ელექტრონული ტენდერის ჩატარების მეთოდები და საფუძვლები გააცნო. ასევე, ყურადღება გაამახვილა სახელმწიფო შესყიდვების სრული ციკლის სწორი დაგეგმვის წარმართვისთვის საჭიროებების განსაზღვასა და ელექტრონული სისტემის უპირატესობაზე. პრეზენტატორმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველო ერთ-ერთი ნოვატორი სახელმწიფოა, რომელსაც ტენდერთან დაკავშირებული ყველა პროცედურა ელექტრონულ ფორმატში აქვს წარმოებული, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფო ტენდერების გამჭვირვალობას, მოქნილი გარემოს შექმნას, არადისკრიმინაციულობას, სამართლიან შეფასებას უზრუნველყოფს და ასევე, მკვეთრად ამცირებს ტენდერში მონაწილეობის დროსა და ხარჯებს.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

საზოგადოების ინფორმირებულობა და ჩართულობა პროექტებში

11 აპრილს 13 საათზე სენაკის სამხატვრო გალერეაში, საზოგადოების აქტიური ჩართულობით, პროექტის „ისტორიული ავტომობილი" საჯარო განხილვა გაიმართა. პროექტი საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) „აქტიურ ლიდერთა თაობის" ფარგლებში ხორციელდება.

პრეზენტაციაზე აღინიშნა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებში მაღალი საზოგადოებრივი ინტერესების მქონე პროექტებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიღებულ უნდა იქნას საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და საჯაროობის პრინციპის განუხრელი დაცვით.

პრეზენტაციას „ისტორიული ავტომობილი" უძღვებოდა სენაკის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე ედიშერ ბაღათურია. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო სენაკელი აზნაურის ვარლამ გვათუას მიერ პირველი ავტომობილის ჩამოყვანის ისტორია, ისაუბრა მუნიციპალიტეტის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და სათანადო განვითარების პერსპექტივებზე.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ სახელმწიფო რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ალექსანდრე მოწერელია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ სესიაშვილი, ვარშავის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის, უკრაინის და მოლდოვის დელეგაციების წევრები, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი კალანდარიშვილი, არასამთავრობო ორგანიზაციების, მასმედიის, ეროვნულ უმცირესობათა, მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სტრუქტურების, საზოგადოების წარმომადგენლები.

საქართველოში პირველი ავტომობილის მაკეტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შეკვეთით მომზადდა და სენაკის მუნიციპალიტეტს გადაეცა.

მაკეტის განთავსების ფორმასა და ლოკაციასთან დაკავშირებით გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ინგა ქარდავამ, სალომე დადიანმა, ანზორ ცაგურიამ, ლია ღვამბერიამ, ირაკლი ლაკიამ და სხვებმა.

საინტერესო დისკუსია პროექტის „ისტორიული ავტომობილი" კენჭისყრით დასრულდა.

„უპირველესად მივესალმები იმ ფაქტს, რომ პროექტის განხილვში ფართოდ არის ჩართული სამოქალაქო სექტორი-აღნიშნა სახელმწიფო რწმუნებულმა სამგრელო-ზემო სვანეთის მხარეში **ალექსანდრე მოწერელიამ**,-სამოქალაქო მსჯელობისა და თანხმობის გზით განხილვა არის თვითმმართველობაში გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპის განხორციელების ყველაზე ეფექტური გზა".

„სენაკის ტურისტული პერსპექტივების ეფექტიანობის გაზრდა არის მუნიციპალიტეტის წინსვლის შეუცვლელი პირობა –აღნიშნა სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა **ლევან კუპრეიშვილმა**. თვითმმართველობის მხრიდან საზოგადოების ინფორმირებულობა და განხორციელებულ პროექტებში სენაკელების ქმედითი ჩართულობა არის უკეთესი სენაკის შენების გარანტი. სენაკისთვის სასიკეთო იდეები, თქვენგან წამოსული საინტერესო და კრეატიული მოსაზრებები ერთობლივი მსჯელობის შემდეგ აუცილებლად შეისხამს ხორცს".

პროექტის გარშემო თავისი მოსაზრებები დააფიქსირეს ყვარლის მერმა **როსტომ სესიაშვილმა**, მოლდოვის ქალაქ გრებიესტის მერმა ალიონა ჩირქუმ, „ძალიან მოგვეწონა თქვენი ქალაქი, მისი ინფრასტრუქტურა, თქვენს მუნიციპალიტეტში არის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. საზოგადოების აქტიური პოზიცია, რომელიც დღეს გამოვლინდა დემოკრატიის საფუძველია".

პრეზენტაციის მეორე ეტაპი - „შენი იდეა ქალაქს" - მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა **თემურ კუბეციამ** წარმართა. მსჯელობის შედეგად გამოვლინდა სენაკელთათვის განსაკუთრებით საინტერესო სხვადასხვა იდეა, რომელთაგან, კენჭისყრის შემდეგ, განსაკუთრებით პრიორიტეტული საკითხები შეირჩა. საჯარო კონსულტაციების პრეცენდენტი უპირველესად მნიშვნელოვანია, როგორც ფაქტი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების აქტიური ჩართულობისა. შეხვედრის დასრულების შემდეგ, მუნიციპალიტეტის სტუმრებმა, თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, გალერეის „ოქროს ფონდის" დასათვალიერებლად საგამოფენო დარბაზში გადაინაცვლეს. მათ ასევე დაათვალიერეს რეაბილიტაციის პროცესში მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის — აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობა. საინტერესო და მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი დღე ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსის დათვალიერებით დასრულდა.

მოამზადა მედეა ბაღათურიამ

P.S. მკითხველს ვთავაზობთ პროექტის ავტორების მიერ მოძიებულ მასალას საქართველოში პირველი ავტომობილის შესახებ.

არქივიდან

ქართული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული ინფორმაცია ახალ სენაკში მოძრავ საქართველოში პირველ ავტომანქანაზე (გაზეთი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში)

„...ამ სანახაობამ თბილისელები იმდენად გააოცა. რომ კოლონის ჩავლის შემდეგაც კარგა ხანს არ დაშლილან. თუმცა არ დაბნეულან და თავადაც მალევე მოისვეს ხელი ჯიბეებზე (მოდას ხომ არ ჩამორჩებოდნენ!) ამ ძვირფასი ნივთის შესაძენად. ასე რომ, აზნაურმა ვარლამ გვათუამ მანქანის ყიდვა ლიკანში მცხოვრებ ნიკოლოზ რომანოვსაც კი დაასწრო (ამ უკანასკნელმა 10-ცხენისძალიანი და 4 ადგილიანი „მორისი“ პარიზიდან მძღოლიანად გამოიწერა) და ეს ავტომობილი დიდი ზარ-ზეიმით ჩაიყვანა სენაკში თავის ნათესავთან. ჭიჭიკო იოსავასთან. საჭესთან თავად იჯდა. გამოწერილი მძღოლი სულაც არ დასჭირვებია. თან თავადები – ფარნაოზ და ბარდალა მხეიძეები და ფოტოგრაფიც ეახლა, რომელსაც სენაკში მისი ზარ-ზეიმით შესვლა უნდა აღებეჭდა“.

გაზეთი „კვირის პალიტრა“, „პირველი ავტომობილები საქართველოში”(7 აგვისტო 2017 წელი).

„...ივლისის ოციდან ზუგდიდისა და ახალსენაკის შუა გაიხსნება ავტომობილური მოძრაობა, რომლის ნებართვაც კავკასიის ნამესტნიკისგან აღებული აქვს აზნაურ ვარლამ გვათუას. მიმოსვლის ფასი იქნება ერთი მანეთი”.

გაზეთი „ხომლი“, 1908 წლის 17 ივნისი. ხუთშაბათი №4 გვ. 2

„... ვ.დ. გვათუას შუამდგომლობა აღუძრავს ნამესტნიკის წინაშე, ნება დართოს მოიწვიოს საავტომობილო მიმოსვლა ზუგდიდსა და ახალსენაკს შორის”.

გაზეთი „ისარი“, 1908 29 თებერვალი, პარასკევი №48 გვ. 4.

„...ამას წინათ ვ. გვათუამ მთავრობას ნებართვა სთხოვა ავტრომობილის შეძენისა და მიმართვის შესახებ სენაკსა და ზუგდიდს შუა. რისი ნებართვა უკვე მიიღო და ახლა 18 სექტემბერს ავტომობილიც მიიღო რომლის მიმოსვლა დაიწყო აღნიშნულ დაბებს შუა. ფასი თითო კაცისთვის 1 მანეთი”.

გაზეთი „ეკალი“ ,1908 წლის 1 ოქტომბერი, ოთხშაბათი №26 გვ. 3

„ალმოვფხრათ იმუნიზაციაში არსებული ხარვეზები“

აღნიშნული სლოგანით საქართველოში 22-28 მდე მიმდინარეობს იმუნიზაციის კვირეული, საქართველოში ბავშვთა გეგმიური იმუნიზაცია ხორციელდება საქართველოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კანონისა და პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად. მე- 20 საუკუნეში სწორედ ვაქცინის დახმარებით მოხერხდა ისეთი მძიმე დაავადებების ლიკვიდაცია, როგორიცაა ყვავილი 2002 წლიდან საქართველო სერთიფიცირებულია, როგორც პოლიმიელიტისაგან თავისუფალი ტერიტორია. დღეისათვის იმუნიზაციის ჩატარებით თავიდან ვიცილებთ ისეთ დაავადებებს, როგორიცაა წითელა-წითურა, პოლიმიოლიტი, დიფტერია- ტეტანუსი, ყივანახველა ჰეპატიტი, ტუბერკულოზი,

როტა,ვირუსული დიარეა, პნევმონიები დღეისათვის იმუნიზაცია ყოველწლიურად თავიდან გვაცილებს 3 მილიონამდე ბავშვთა გარდაცვალების შემთხვევას.

რა არის ვაქცინა, როგორია მისი მოქმედების მექანიზმი- რა არის იმუნიტეტი? მოკლედ მოგითხრობთ აღნიშნულთა შესახებ.

ადამიანს აქვს იმუნური სისტემა, რომელიც ორგანიზმში მოხვედრილ დაავადების გამომწვევ მიკრობებს ხვდება, როგორც უცხო „დამპყრობელს” და მას ანტიგენი ეწოდება და სწორედ მათ წინააღმდეგ იწყებს ანტი სხეულების გამომუშავებას. ანტისხეულები კი იცავენ ორგანიზმში შემდგომში შეჭრილი ანტიგენის მიერ ამა თუ იმ დაავადების განვითარების რისკს ან მთლიანად უზრუნველყოფენ დავადების თავიდან აცილებას. ვაქცინები კი შეიცავენ იმავე ანტიგენებს, რომლებიც იწვევენ დაავადებებს თუმცა ეს ანტიგენები ვაქცინებში დახოცილია ან იმდენად დასუსტებულია მათ დავადებების გამოწვევა არ შეუძლია, მაგრამ უნარი აქვთ დავადების საწინააღმდეგოდ აუცილებელი ანტისხეულების გამომუშავება. ვაქცინების წყალობით ბავშვებს მთელი სიცოცხლის მანძილზე უვითარდებათ იმუნიტეტი და აღარ ავადდებიან. ვაქცინაციას დაქვემდებარებული დაავადებებით დღეისათვის საქართველოში იმუნიზაცია ტარდება 9 დაავადების წინააღმდეგ, რომლებიც ავადობის ინვალიდობისა და სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან. ბავშვთა მოსახლეობის იმუნიზაცია ბავშვის და საერთო მომავალი თაობის ჯანმრთელობაზე ზრუნვის შემადგენელი ნაწილია. საქართველოში მცხოვრები ყველა ბავშვი უზრუნველყოფილია სახელმწიფოსგან აღნიშნული დაავადების პროფილაქტიკის საწინააღმდეგოდ და უფასო იმუნიზაციით.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის თაოსნობით ინერგება გლობალური იმუნიზაციის გაფართოებული პროგრამა. აღნიშნულ პროგრამას შეუერთდა მსოფლიოს ბევრი ქვეყანა და შეიმუშავეს ნაციონალური პროგრამა, აღნიშნულ ქვეყნების რიცხვს 1994 წელს შეუერთდა საქართველოს რესპუბლიკაც.

საქართველოში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაავადებათა ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს ქვეყნის მაღალი ხარისხის ვაქცინებით მომარაგებას. აღნიშნულ ვაქცინებს არ გააჩნიათ გვერდითი მოვლენები, წინააღმდეგ ჩვენებების რიცხვი საკმაოდ მცირეა. იმუნიზაციის შედეგები კი მაქსიმალური.

სენაკის რაიონის სჯც-ს მიერ ხდება სამედიცინო დაწესებულებებზე მოთხოვნის საფუძველზე აღნიშნული ვაქცინების გადანაწილება. მედიცინის მუშაკებს გააჩნიათ მაქსიმალური ინფორმაცია ვაქცინებთან დაკავშირებულ რისკებსა და უპირატესობებზე ასევე შედეგებზე. მშობლები ენდობიან მედიცინის მუშაკების რჩევებს, რომ გააკეთონ სასიკეთო არჩევანი იმუნიზაციის სასარგებლოდ.

სენაკის სჯც ადმინისტრაცია მოგმართავთ თხოვნით-იმუნიზაციის კვირეულის ფარგლებში აქტიურად მიმართოდ სამედიცინო დაწესებულებებს ჩავატაროთ ასაკობრივი აცრები და დაიცვათ მომავალი თაობა დაავადებებისაგან.

კ. გრიგოლავა,
სჯც-ის იმუნიზაციის ჯგუფის
ხელმძღვანელი: ა.ჭიჭაღუა,
ც/დირექტორი

კლუბი „თუთა" დ ჰროექტი „1918 წ.26 მაისი-1991 წ.31 მარტი"

ჟიული შარტავას სახელობის ქალაქის №2 სკოლა დღესასწაულობდა ქართველი ერის 3 ჰიპოსტასიურ თარიღს:

1918 წლის 26 მაისს, როცა 117 წლის ოკუპაციის შემდეგ გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.



1989 წლის 9 აპრილის წმიდა ტარიგთა ღვაწლს ერის სულიერ გამთლიანებაში და...

1991 წ. 31 მარტის რეფერენდუმის ფუძემდებლურ მნიშვნელობას ქართველი ერის სუვერენიტეტის მოსაპოვებლად.

მოსწავლეები წარმოსთქვამდნენ გულისტკივილით აღსავსე სიტყვებს, რომლითაც აღწერდნენ იმ აგრესიას, რასაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასანთქავ –დასაგლეჯად აწარმოებდნენ მეზობელი აგრესორი სახელმწიფოები, მაგრამ მოსაზრებებში გამოსჭვიოდა ის ღირსებაც, ის მიკუთვნებულობაც და ის ჯეროვანი სიამაყეა, რასაც იმსახურებდა მათგან ეს მრავალჭირგადანახადი დიდებული ქვეყანა, რომელსაც საქართველო ეწოდება..

მღელვარე, ფრონდდაუნჯებული, მაგრამ სისწორ-სიმრუდით იყო განსჯილი ! მსოფლიო ომის, ბრესტ-ლიტოვსკის ზავით გამოწვეული ჩვენი ეროვნული უბედურებანი, მეზობელ ქვეყანათა მიერ საქართველოს დაფლეთა-განსხეულების მცდელობანი, ქართული შეიარაღებული ძალებისა და მათ მთავარსარდალთა გმირობანი, საერთაშორისო აღიარებას, საბჭოთა რესურსის ყოველგვარი ანექსია და მესამედ დამხობა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა.

დამსწრე მასწავლებლები და სკოლის დირექტორი აღნიშნავდნენ სულმნათ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას, 1989 წ. 9 აპრილის გმირთა დუფასებელ ღვაწლს 1991 წ. რეფერენდუმში საქართველოს გამარჯვებასა და ერის უფლისეულ გამთლიანებაში.

პროექტის ხელმძღვანელმა ლუარა ჯიქიამ განმარტა სწორუპოვარი შეუდრეკლობისა და თავგანწირვის ფასადმოპოვებული დადგენილებები, რომლითაც მსოფლიო აღტაცებას ვერ მალავდა, რომ მე ასე მცირერიცხოვანი ჩაგრული ერი ასე მრავალრიცხოვან დამპყრობს უწევდა წინააღმდეგობას.

დამსწრენი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პროექტის მოქალაქეობრივ ღირსებას, მოსწავლეთა აქტივობის ხარისხს, პროექტის ხელმძღვანელის კომპენტენციას და აღტაცებას გამოსთქვამდნენ პროქტის მონაწილე VI^ა კლასელებისადმი, რომელთაც მუხრან მაჭავარიანის პოეტური ქმნილებანი მიუძღვნეს თავიანთი სამშობლოს გმირულ ახლო წარსულს.

ინებოს, ინებოს, ინებოს უფალმან საქართველოს გაძლიერება და გაბრწყინება!ამინ!

ლუარა ჯიქია

მადლობა

სენაკის მუნიციპალიტეტის შპს ბავშვთა საავადმყოფო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, კვალიფიციური მედპერსონალით, თანამედროვე ლაბორატორიით რეგიონში წარმატებული კლინიკაა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი შენარჩუნება კლინიკის დირექტორის ნიჭიერი, ენერგიული, მაღალკვალიფიციური ექიმის ქალბატონის იამზე დგებუაძის დამსახურებაა. მასში თანაბრად არის შერწყმული პროფესიული და მენეჯერული უნარ-ჩვევები.

მინდა თბილად მოვიხსენიო ქალბატონი ნატო გრიგოლია, რომელიც რამდენიმე ათეული წელია დგას პატარა პაციენტების ჯანმრთელობის სადარაჯოზე. კეთილშობილი და ენატკბილი ქალბატონი ოჯახითა და სანათესაოთი საზოგადოების პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებს. მის ვაჟს გია სიჭინავას რეგიონში იცნობენ როგორც ნიჭიერ, პაციენტების მიმართ ყურადღებიან ექიმს. მედიკოსთა საზოგადოებაში ასევე პატივისცემით სარგებლობს ქალბატონი დოდო გრიგოლია, რომელმაც ოჯახური პირობების გამო ვერ შეძლო პროფესიული საქმინობა განეგრძო.

ბავშვთა საავადმყოფოს მედპერსონალს უყვარს ბავშვები და ყველაფერს აკეთებს მათი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. ისინი თავიანთი ნიჭით და გამოცდილებით ბოლომდე იხარჯებიან ბავშვებისათვის.

მინდა მადლიერების გრძნობით მოვიხსენიო და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მივულოცოსაავადმყოფოს დირექტორს ი. დგებუაძეს, ექიმებს ნ. გრიგოლიას, ე. გიგიბერიას, ე. კოკაიას, დ. პეტრიშვილს, მ. ბაღათურიას, უფროს მედდას ი. ყუფარაძეს, თანამშრომლებს გ. სახოკიას, გ. გაგუას, ნ. შარტავას, ი. ძიგუას,ნ. ქუჩულორიას, ა. გოგოხიას, ნ. ჩხეტიას, ლ. ზაქარაიას, ნ, ხვიჩიას, ვ, ჯალაღონიას, ს. ლომიას, ნ. ბარქაიას, ნ. ნადარაიას, ლაბორატორიისა და ბუღალტერიის მუშაკებს, ტექნიკურ პერსონალს.

ჩემო ძვირფასებო, აუწყავია თქვენი შრომა და ღვაწლი. ღმერთმა გაგაძლიეროთ და დაგლოცოთ.

ლ. ადამია

სპორტი

2019 წლის 15-16-17 მარტს ქ. თბილისში, ჩატარდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, აკაკი ოქროპირიძის სახელობის ტრადიციული ტურნირი ძიუდოში.2003-2008 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ტურნირში მონაწილეობას ღებულობდა სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის მოსწავლე ტარიელ ფოთელიძე 32კგ. წ/ კატეგორია. დაიკავა III - ადგილი. გამარჯვებული დაჯილდოვდა შესაბამისი მედლით და დიპლომით. ვულოცავთ გამარჯვებას მწვრთნელს და ნორჩ ძიუდოისტს. მწვრთნელი/ ელგუჯა გვასალია.

***

2019 წლის 6 -7 აპრილს, ქ.ზესტაფონში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი, მოსწავლე მოკრივეთა შორის. ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო170- მდე მოკრივემ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობდნენ, სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის მოკრივეები.

პირველი ადგილის ტიტული მოიპოვა და საქართველოს ჩემპიონი გახდა, ლუკა წულეისკირი 38,5 კგ.წ/კ მწვრთნელი: გიორგი კემულარია. მეორე ვიცე- ჩემპიონი გახდა ზურაბ ხარგელია 90 + 105 კგ.წ/კ. მწვრთნელი: ილია ცაავა.

ვულოცავთ სენაკელ მოკრივეებს გამარჯვებას და წარმატებებს ვუსურვებთ მომავალ ასპარეზობებზე.

***

2019 წლის 20 აპრილს, ქუთაისის სპორტის სასახლეში ჩატარდა მე-2 საერთაშორისო ტურნირი კარატეში "OPEN KUTAISI". აღნიშნულ ჩემპიონატს კარატეს ეროვნულმა ფედერაციამ წელს პირველად, პრემიერ ლიგის სტატუსი მიანიჭა, რაც იმას ნიშნავს,რომ შეჯიბრი კარატეს ფედერაციის წესების დაცვით ტარდება და უმაღლესი კატეგორიის სარეიტინგო და საერთაშორისო დონისაა. ჩემპიონატში მთელი საქართველოდან 300-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა.სტუმრად იყვნენ ჩამოსული: აზერბაიჯანის და სომხეთის სპორტსმენები.ასპარეზობა ჩატარდა ყველა ასაკობრივ კატეგორიაში. ტურნირში მონაწილეობდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის კარატისტები, რომლებმაც დაიკავეს შემდეგი ადგილები:

II ადგილი: ენვერ თურქია +18 წ. +84 კგ. წ/კ.; III ადგილი -ანდრია გუგუნავა (8-9 წ. 30 კგ. წ/კ.): III ადგილი -ლუკა ნოდია (16-17 წ. -76 კგ. წ/კ.): III ადგილი-რევაზ მუკბანიანი (16-17 წ. -76 კგ. წ/კ.);მწვრთნელი: ელგუჯა ჩემია.

II ადგილი - ირაკლი დემურია (+18წ. -75კგ. წ/კ.); III- ადგილი-ლუკა რეჭია (8-9წ. -30კგ. წ/კ). მწვრთნელი: გოგიტა გოგია

III ადგილი - ლიკა თურქია (16-17წ. -48კგ. წ/კ.) მწვრთნელი გია ლატარია.

ირინე გაგუა,
სენაკის სასპორტო გაერთიანების,საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი

„9-აპრილი-ჩვენი ტკივილი და შემართება"

30 წელია აპრილი განუზომელი სევდითა და მწუხარე მოგონებებით შემოდის ჩვენში. 1989 წელს საქართველოს ისტორიაში კიდევ ერთი ტრაგიკული ფურცელი გადაიშალა . . .

მაშინ მთელი ერი ერთი იდეის გარშემო, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის იბრძოდა უიარაღოდ, ცარიელი ხელებით, მაგრამ დიდი იმედითა და მომავლის რწმენით. გასაკვირველი რამ ხდებოდა, მამაკაცების გვერდით უშიშრად იდგნენ ჩვენი ქალები, ჩვენი შვილები და ჩვენს ხსოვნაში ცოცხლდებოდა სულმნათი ლადო ასათიანის სიმღერად ქცეული სტრიქონები -

მამაკაცებს გვერდით ჰყავდათ, ვით ფოლადის ფარები
და მტერს მათთან ერთად სცემდნენ საქართველოს ქალები...

უკანდაუხევლად ეს სულმნათები იმ ღამის მომიტინგეებთან ერთად, რომლებიც ეროვნული მოძრაობის ლიდერების ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას გვერდით იდგნენ ქართველი ხალხის ოცნებად ქცეული ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის მისაღწევად უმძიმეს სამხედრო ტექნიკას სიმღერით გზას უღობავდნენ და ხელკეტებით მიერეკებოდნენ. თუ კაცი კარგად დაუკვირდებოდა ტანკებზე ამხედრებულ მომხდურთა მძიმე ჩაფხუტების ვიწრო მინებიდან მოჩანდა გაკვირვებული, გაოცებული მზერა ადამიანებისა, რომლებსაც ქვეყნად ყოველგვარი სიკეთის აღქმის უნარი ჰქონდათ დაკარგული,

სწორად ბრძანა ჩვენმა თანამემამულემ, ღირსეულმა პოეტმა ბათუ დანელიამ —

მოურჩენელი იარები
კვლავ შენს მკერდზეა,
ჩემო სამშობლოვ, ჩემო ერო,
ჩემო ქალაქო,
უიარაღოს იარაღით როცა გებრძივიან
ეს იმას ნიშნავს ძლიერი ხარ უიარაღოდ.

8 აპრილს ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარდა ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობის და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელსაც უძღვებოდა ჟიული შარტავას სახელობის სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი დამირ კუჟავა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ „სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე- ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი"-ს დირექტორი ლევან უჩანეიშვილი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, ეროვნული მოძრაობის, კულტურის სფეროსა და სენაკის ფართო საზოგადოების წარმომადგენლები.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მცველმა გრიალა ანთიამ ილაპარაკა პოლიტიკურ სიტუაციაზე, რომელიც წინ უძღოდა 9 აპრილის მოვლენებს.

მორის ფოცხიშვილის ლექსი „ანათემა" წაიკითხა მე-7 საჯარო სკოლის X კლ. მოსწავლემ-მაია ქობალიამ.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცმუშაკმა ლალი გულუამ თავის სიტყვაში-„ბოროტი ძალის შემოტევა"ისაუბრა 9 აპრილის ტრაგიკულ მოვლენებზე.

დამსწრეთა წინაშე წარსდგა ხელოვნების ცენტრთან არსებული სამუსიკო სკოლის გიტარისტთა ტრიო: ჯანგველაძე ნიკა, გვასალია ალექსი და წირქვაძე ზურა.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცმუშაკმა მაია ლაშქარავამ ისაუბრა სენაკში ეროვნული მოძრაობის შესახებ, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სტუმრობაზე.

ლადო ასათიანის „სალაღობო"-ს სიმღერის ფონზე ნოდარ ჯალაღონიას ლექსი „შენ საქართველოს იმედად და ვარდად გაშლილო" წაიკითხა VII საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლემ საბა სიგუამ.

ჟიული შარტავას მუზეუმის მეცნერ -მუშაკმა ნ. ფირცხალავამ ისაუბრა 9 აპრილის შემდგომ განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებზე, აღნიშნა 31 მარტის რეფერენდუმის მნიშვნელობა დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში.

ანა კალანდაძის „ქარი გიმღერის ნანასა". . . სიმღერის ფონზე VII საჯარო სკოლის XIკლასის მოსწავლემ ზურაბ აბშილავამ წაიკითხა შანდორ პეტეფის ლექსი „მე ერთი ფიქრი მაწუხებს მარად".

სიტყვებით გამოვიდნენ:

1 ეროვნული მოძრაობის მონაწილეები: ანდრო კანკავა, იგორ ბოჯგუა. ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მომწერის იგორ ნარმანიას ქალიშვილი ეკატერინე ნარმანია, მწერალი ბორის დავითაია.

ღონისძიება მიმდინარეობდა ვიდეო კოლაჟის ჩვენების ფონზე რომელსაც ტექნიკურად უზრუნველყოფდნენ თეიმურაზ რეკვავა და ვეფხვია გორგოძე.

დამირ კუჭავა

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია ბერბაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი შულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. № 103 ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17

გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33.
ტელ: 223779; 223711; 223499.